



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ინფორმაციული ტექნოლოგიები, ბაკალავრიატი

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2021 წლის 26 თებერვალი

დასკვნის წარდგენის თარიღი
2021 წლის 26 მარტი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	231187168
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციული ტექნოლოგიები
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი Bachelor of Information Technologies
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0612 - მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება Database and Network Design and Administration (0612.1.1. - ინფორმაციული ტექნოლოგიები Information Technologies)
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, №420, 09.12.2011;

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ რუხაია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა არაბული, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა გიგაური, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ საბაკალავრო პროგრამამ უკანასკნელად აკრედიტაცია მიიღო 2011 წლის 9 დეკემბერს (ბრძანება N420). ამ პერიოდის განმავლობაში სისტემატიურად ხორციელდებოდა პროგრამის განახლება/განვითარება. კერძოდ, დაემატა ძირითადი სასწავლო კურსები: „კომპიუტერის არქიტექტურა“, „კომპიუტერის ორგანიზაცია“, „კომპიუტერული სისტემების ექსპლუატაცია და სერვისი“. მოდიფიცირება გაუკეთდა სასწავლო კურსებს „კომპიუტერული ქსელები“, „მონაცემთა ბაზები“, „კომპიუტერული გრაფიკა“, „Web-ტექნოლოგიები“. აგრეთვე, გამდიდრდა არჩევითი სასწავლო კურსები, სადაც დაემატა: „ოპერაციული სისტემა Linux“, „პროექტების მართვა“, „კომპიუტერის პერიფერიის ორგანიზაცია“.

„ინფორმაციული ტექნოლოგიები“ საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი), ხოლო მოცულობაა 240 ECTS კრედიტი:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები- 120 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 15 კრედიტი;
- თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები - 35 კრედიტი;
- თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი;
- დამატებითი პროგრამა (Minor) ან თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ექსპერტთა ვიზიტი სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა ვირტუალურად (Zoom პლატფორმის საშუალებით) 2021 წლის 26 თებერვალს. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ პროფესორი ნანა არაბული, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და სტუდენტი ნიკა გიგაური, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა მიხეილ რუხაია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მუშაობა მიმდინარეობდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად 10:00 სთ-დან 18:20 სთ-მდე და მოიცავდა შეხვედრებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და დამსაქმებლებთან. მოეწყო გასაუბრება საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

ჯგუფის წევრებმა ვირტუალურად დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დღის ბოლოს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს წარუდგინეს ექსპერტთა ჯგუფის ძირითადი მიგნებები.

დაწესებულების წარმომადგენლები მომზადებულები შეხვდნენ ვიზიტს. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შეუქმნეს კომფორტული სამუშაო გარემო და უზრუნველყვეს მოთხოვნილი დოკუმენტაციის დროული მიწოდება.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

„ინფორმაციული ტექნოლოგიები“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან და მეტწილად შესაბამისობაშია 1 და მე-2 სტანდარტებთან.

▪ რეკომენდაციები

1. მიზნების პირველ პუნქტში „კომპიუტერული მეცნიერების ფინდამენტური თეორიების და პრინციპების საფუძვლიანი ცოდნა“ შეიცვალოს ტექსტით „ინფორმაციული ტექნოლოგიების ფუნდამენტური თეორიების და პრინციპების საფუძვლიანი ცოდნა“
2. უნარების 2.6 პუნქტი გადავიდეს „ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა“ შედეგში.
3. „ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა“ - დაემატოს აკადემიური და პროფესიული პასუხისმგებლობის აღმწერი პუნქტი.
4. სასწავლო კურსი „პრეკალკულუსი“ ამოღებულ იქნას პროგრამიდან.
5. დაემატოს ძირითადი სასწავლო კურსები: „სისტემის ადმინისტრირება“ და „ადამიანი-კომპიუტერის ინტერაქცია“.
6. გამრავალფეროვნდეს არჩევითი სასწავლო კურსები, მათ შორის დაემატოს: „მობილური აპლიკაციები“, „ღრუბლოვანი ტექნოლოგიები“, „გეოგრაფიული საინფორმაციო (გის) სისტემები“.
7. დამატებით (minor) პროგრამას დაემატოს არჩევითი საგნები, რომ სტუდენტმა შეძლოს კონკრეტული მიმართულების სრულფასოვნად ათვისება (მაგ. ვებ პროგრამირების მიმართულებით სერვერული მხარის დაპროგრამება).
8. გაერთიანდეს სასწავლო კურსები „დაპროგრამების საფუძვლები“ და „დაპროგრამება (C++)“.
9. „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება და აპლიკაციები (C#)“ სასწავლო კურსში დაემატოს C# გრაფიკული დაპროგრამებისა და .NET ფრეიმვორკის გაცნობის საკითხები.
10. „კალკულუსი“ სასწავლო კურსში გადანაცვლდეს თემები 4 და 5 (დეტერმინანტები ისწავლებოდეს მატრიცების შემდეგ).
11. „ოპერაციული სისტემები“ სასწავლო კურსის შინაარსი და სათაური მოვიდეს შესაბამისობაში.
12. „კომპიუტერული გრაფიკა და მულტიმედია“ სასწავლო კურსი დაეთმოს კომპიუტერული გრაფიკის უფრო ზოგად საკითხებს.

13. „კომპიუტერული ქსელები“ სასწავლო კურსში დაემატოს თემები უკაბელო გადაცემის ტექნოლოგიების შესახებ.
14. „Web ტექნოლოგიების საფუძვლები (HTML&CSS)“ სასწავლო კურსში დაემატოს რესპონსული გვერდების აწყობის, მოდულარული CSS და CSS3-თან დაკავშირებული საკითხები.
15. „Web დაპროგრამება (JavaScript)“ სასწავლო კურსში გაღრმავდეს JQuery საკითხები და დაემატოს AJAX ტექნოლოგიის მიმოხილვა.
16. „Web დაპროგრამება PHP-ს ბაზაზე“ სასწავლო კურსში დაემატოს ვებ გვერდების უსაფრთხოების, სესიების, ვებ-სერვისების საკითხები.
17. განახლდეს ცალკეული სასწავლო კურსების (მაგალითად, „კალკულუსი“, „კომპიუტერული ქსელები“, „კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება“, „ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესები საქართველოში“ და „დემოკრატია და მოქალაქეობა“) ძირითადი ლიტერატურა.
18. გადაიხედოს სასწავლო კურსებზე კრედიტების მინიჭებისა და საკონტაქტო საათების განაწილების პრაქტიკა. „საწარმოო პრაქტიკა“ გახდეს 10 კრედიტიანი.
19. გადაიხედოს თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები, რომ ითვალისწინებდნენ კურსის სპეციფიკას და არ იყოს უნიფიცირებული.
20. სასწავლო კურსებში „კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირებასა“ და „მონაცემთა ბაზების დაპროექტებაში (SQL)“ დაკონკრეტდეს რას გულისხმობს საკურსო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმი „სტუდენტის ავტონომიურობა“ და მეტად დეტალიზირდეს მისი შეფასების რუბრიკა.
21. სასწავლო კურსის „კატასტროფების რისკის შემცირება ინკლუზიური მიდგომით“ სილაბუსში განისაზღვროს ფინალური გამოცდის ღია კითხვების შეფასების რუბრიკა, ასევე სასწავლო კურსის „ლოგიკის“ სილაბუსში დეტალიზირდეს სემინარზე წერიითი გამოკითხვის შეფასების კრიტერიუმები და შეფასების რუბრიკა.
22. პროგრამის განხორციელებაში ჩაერთოს დარგის პრაქტიკოსი უფრო მეტი სპეციალისტი, განსაკუთრებით დაპროგრამებასთან დაკავშირებულ საგნებში.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. „ზოგადი ფიზიკის საფუძვლები“ სასწავლო კურსი ჩანაცვლდეს ელექტრონიკის სასწავლო კურსით.
2. „შესავალი კურსი პოლიტოლოგიაში“ სასწავლო კურსის თემატიკამ სასურველია მოიცვას პოლიტიკური იდეოლოგიების შესახებ საკითხები.
3. გაძლიერდეს თანამშრომლობა რეგიონალურ ორგანიზაციებთან სტუდენტთა სტაჟირების თაობაზე.
4. სტუდენტური სერვისების ერთ სივრცეში თავმოყრის მიზნით, სასურველია უსდ-მ შექმნას სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, რომელსაც მთლიანად სტუდენტების მომსახურებაზე იქნება ორიენტირებული, რაც კიდევ უფრო გაუადვილებს სტუდენტებს სწავლის პროცესს.
5. გაძლიერდეს საერთაშორისო თანამშრომლობა უშუალოდ ინფორმატიკის მიმართულებით.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
 1. მისასაღმებელია საგამოცდო ნაშრომების დაშიფვრა, რაც შეფასების პროცესს უფრო ობიექტურს ხდის.
 2. გაცვლით პროექტებსა და ინდივიდუალურ საერთაშორისო მობილობაში სტუდენტთა ჩართულობა.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

„ინფორმაციული ტექნოლოგიები“ საბაკლავრო პროგრამამ ბოლო აკრედიტაცია გაიარა 2011 წელს. მას შემდეგ პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

1. დაემატა ძირითადი სასწავლო კურსები: „კომპიუტერის არქიტექტურა“, „კომპიუტერის ორგანიზაცია“, „კომპიუტერული სისტემების ექსპლუატაცია და სერვისი“.
2. დაემატა არჩევითი სასწავლო კურსები: „ოპერაციული სისტემა Linux“, „პროექტების მართვა“, „კომპიუტერის პერიფერიის ორგანიზაცია“.
3. მოდიფიკაცია განიცადა სასწავლო კურსებმა: „კომპიუტერული ქსელები“, „მონაცემთა ბაზები“, „კომპიუტერული გრაფიკა“, „Web-ტექნოლოგიები“.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის - „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ მიზანი ეფუძნება სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ტენდენციებს. პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია და ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული.

„ინფორმაციული ტექნოლოგიები“ საბაკალავრო პროგრამის მიზანია:

1. შესძინოს სტუდენტს მათემატიკის, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული მეცნიერებების ფუნდამენტური თეორიების და პრინციპების საფუძვლიანი ცოდნა და პრაქტიკული გამოყენების უნარი ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში წარმატების მისაღწევად;

2. მოამზადოს ინფორმაციული ტექნოლოგიების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან აპარატურული და პროგრამული საშუალებების კონფიგურირების, ადმინისტრირების, ექსპლუატაციის ცოდნით და წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად მათი შემუშავების უნარებით;

3. შესძინოს სტუდენტს ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში მეთოდების და ინსტრუმენტების, მათ შორის არსებული უახლესი მიღწევების, ინტერდისციპლინარულ კონტექსტში გამოყენების უნარი;

4. შეუქმნას კურსდამთავრებულებს შემდგომი პროფესიული განვითარების მყარი საფუძველი როგორც პრაქტიკული საქმიანობის, ასევე სწავლის შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების კუთხით.

პროგრამის პირველ მიზანთან გვაქვს შემდეგი მოსაზრება:

„კომპიუტერული მეცნიერების ფუნდამენტური თეორიების და პრინციპების საფუძვლიანი ცოდნა“ მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ალგორითმისა და სირთულის, კომპიუტერული მეცნიერების თეორიის, პროგრამირების ენების ცნებებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების თეორიული და პრაქტიკული საკითხები, კომპიუტერის სისტემების შესწავლა სხვადასხვა აბსტრაქციების დონეზე, პარალელური და განაწილებული სისტემები, რაც აღნიშნულ პროგრამაში ნაკლებადაა წარმოდგენილი და პროგრამის კვალიფიკაციიდან გამომდინარე არც არის ამ პროგრამის მიზანი. ამიტომ მიგვაჩნია, რომ პირველ პუნქტში ტექსტი - კომპიუტერული მეცნიერება, უნდა შეიცვალოს ტექსტით - ინფორმაციული ტექნოლოგიები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა;
- უნივერსიტეტის მისია;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

მიზნების პირველ პუნქტში „კომპიუტერული მეცნიერების ფუნდამენტური თეორიების და პრინციპების საფუძვლიანი ცოდნა“ შეიცვალოს ტექსტით „ინფორმაციული ტექნოლოგიების ფუნდამენტური თეორიების და პრინციპების საფუძვლიანი ცოდნა“

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია 9 პუნქტის სახით, რომელიც გადანაწილებულია ორ ჯგუფად.

ცოდნა და გაცნობიერება - წარმოდგენილია 2 პუნქტით

1.1. გაიაზრებს მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ფუნდამენტურ თეზისებს, რომლებსაც იყენებს სპეციალობასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისათვის, ფორმულირებისა და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრისათვის;

1.2. ახასიათებს ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგის ამოცანათა ფართო სპექტრს, რომელიც მოიცავს კომპიუტერისა და კომპიუტერული სისტემების აპარატურული-პროგრამული უზრუნველყოფის, ვებ-ტექნოლოგიების, კომპიუტერული ქსელების თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს.

უნარი - წარმოდგენილია 7 პუნქტით.

2.1. ახდენს სხვადასხვა დარგში თეორიული და პრაქტიკული პრობლემების იდენტიფიცირებას, ფორმულირებას, ანალიზს და მათ გადაწყვეტას აპარატურული და პროგრამული საშუალებების გამოყენებით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

2.2. აპროექტებს (მათ შორის კვლევითი ელემენტებით) და ახორციელებს პროგრამულ სისტემებსა და პროდუქტებს, კომპიუტერულ სისტემებს, კომპიუტერულ ქსელებს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

2.3. ახდენს პროგრამული და კომპიუტერული სისტემების, კომპიუტერული ქსელების გამართვას, კონფიგურირებას, ექსპლუატაციას და სერვისულ მომსახურებას,

კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირებას.

2.4. იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ ახდენს კომუნიკაციას როგორც სპეციალისტებთან, ასევე არასპეციალისტებთან კონტექსტისათვის შესაბამისი, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით.

2.5. წარმართავს განვითარებაზე ორიენტირებულ პროფესიულ საქმიანობას ჯგუფსა და მულტიდისციპლინარულ კონტექსტში.

2.6. კომპიუტერული და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების უახლესი ტენდენციების გააზრების საფუძველზე ადგენს საკუთარი სწავლის შემდგომ მიმართულებებს, პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას.

2.7. ითვალისწინებს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში მიღებულ მუშაობის ეთიკურ ნორმებს და ინფორმაციული უსაფრთხოების წესებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - არ არის წარმოდგენილი.

აღნიშნულთან მიმართებაში გვაქვს შემდეგი მოსაზრება.

უნარებში 2.6 პუნქტი წარმოადგენს პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის შედეგს და სასურველია იგი გადატანილ იქნას ამ პუნქტში. ასევე შედეგებში საერთოდ არაა საუბარი აკადემიურ და პროფესიულ პასუხისმგებლობაზე, რომლის გამომუშავება შესაძლებელია პროგრამაში არსებული რიგი საგნებით (აკადემიური წერა - პლაგიატთან მიმართებაში, ინფორმაციის უსაფრთხოება, საბაკალავრო ნაშრომი და ა.შ.).

პროგრამის სწავლის შედეგები რელევანტურია დასახული მიზნების და უმეტესწილად მიღწევადია.

აღსანიშნია, რომ პროგრამაში განსაზღვრულია დამატებითი (minor) საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, რომელსაც გააჩნია ცალკე გამოყოფილი სწავლის შედეგები. დამატებითი პროგრამის სწავლის შედეგები რელევანტური და მეტწილად მიღწევადია დამატებითი (minor) სასწავლო გეგმით.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა. პროგრამაში წარმოდგენილია კურიკულუმის რუკა, სადაც განსაზღვრულია თვითოეული კურსის სწავლის შედეგთან შესაბამისობა. სწავლის შედეგების შეფასებისთვის პროგრამაში განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები. სწავლის თითოეული შედეგი ჩაითვლება მიღწეულად, თუ შეფასებაში მონაწილე სტუდენტების 50% და მეტი აკმაყოფილებს ნიშნულებით განსაზღვრულ მოთხოვნას - 65%. ყოველი სწავლის შედეგის ანალიზი

გაზიარებულია პროგრამაში მონაწილე პერსონალისთვის და საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება შესაბამისი რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების მიღება სასწავლო კურსის/კურსების მოდიფიცირება/დახვეწასთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა
- სილაბუსები;
- ბაზრის კვლევის ანგარიში;
- სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;

რეკომენდაციები:

- უნარების 2.6 პუნქტი გადავიდეს „ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა“ შედეგში.
- „ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა“ - დაემატოს აკადემიური და პროფესიული პასუხისმგებლობის აღმწერი პუნქტი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>„ინფორმაციული ტექნოლოგიები“ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც გააჩნია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმატებით ჩააბარებს საქართველოს ეროვნული საგამოცდო ცენტრის მიერ ადმინისტრირებულ გამოცდებს. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე. აგრეთვე იმ პირების ჩარიცხვა, რომელიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები, რეგულირდება საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ.</p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში;

<ul style="list-style-type: none"> ○ საბაკალავრო პროგრამა; ○ სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (www.tesau.edu.ge).
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით; პროგრამაში</p>

გათვალისწინებულია უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილება და მოცემულია ლინკები, რომელი პროგრამების ანალოგიურადაც მოხდა „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ საბაკალავრო პროგრამის მოდიფიცირება.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს; პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. პროგრამაზე დაშვებისთვის არ არის განსაზღვრული დამატებით მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მათემატიკაში, გარდა თავად ეროვნული გამოცდებით განსაზღვრული ზღვრისა, რითიც ახსნა პროგრამის ხელმძღვანელმა პროგრამაში სასწავლო კურსის „პრეკალკულუსი“ არსებობა. თუმცა, ექსპერტების აზრით შეუძლებელია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მათემატიკის მინიმალური ზღვრის გადალახვა „პრეკალკულუსში“ წარმოდგენილი საკითხების ცოდნის გარეშე. ამიტომ, რეკომენდირებულია ამ კურსის პროგრამიდან ამოღება.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მეტწილად შესაბამისობაშია ძირითად მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუკი გათვალისწინებული იქნება შემდეგი ცვლილებები:

1. დღეისათვის ინფორმაციული ტექნოლოგიების აქტუალური თემაა სისტემის ადმინისტრირება და ადამიანი-კომპიუტერის ინტერაქცია. ექსპერტთა აზრით ეს საგნები უნდა დაემატოს სავალდებულო საგნებს (პროგრამაში ჩამოთვლილი უნივერსიტეტების კურიკულუმებშიც აღნიშნული საგნები სავალდებულო საგნებს შორის არის).
2. კურიკულუმში არჩევითი საგნების აშკარა ნაკლებობაა და საერთოდ არ არის მოცემული დღეისათვის ისეთი აქტუალური მიმართულებები, როგორცაა მობილური აპლიკაციები, ღრუბლოვანი ტექნოლოგიები, გის სისტემები. სასურველია აღნიშნული საგნები დაემატოს არჩევით საგნებად.
3. კურიკულუმში მოცემულია „ზოგადი ფიზიკის საფუძვლები“ სასწავლო კურსი, რომელიც ამოვარდნილია საერთო სურათიდან. ეს კურსი არ არის რაიმე სხვა კურსის წინაპირობა და არ ხდება ამ მხრივ თემატიკის განვითარება. ექსპერტების აზრით უმჯობესი იქნება რომ ეს კურსი გადავიდეს არჩევითში და მის ნაცვლად დაემატოს ელექტრონიკის კურსი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია საგნებში „კომპიუტერის ორგანიზაცია“, „კომპიუტერული სისტემების ექსპლუატაცია და სერვისი“, „კომპიუტერის პერიფერიის ორგანიზაცია“ და სხვა.

პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები ძირითად თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის დალაგებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები კურსების ნაწილში

განსაზღვრულია სწორად.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად;

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას; ასევე სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი თავისუფალი კურსი უნივერსიტეტის სხვა სასწავლო პროგრამებიდან ან გაიაროს დამატებითი პროგრამა (Minor). სასურველია, პროგრამაში შეთავაზებული იყოს დარგთან დაკავშირებული მეტი არჩევითი კურსები, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

აღსანიშნია, რომ პროგრამას აქვს „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ დამატებითი (minor) საგანმანათლებლო სასწავლო გეგმა, რომელიც მეტწილად უზრუნველყოფს დამატებითი (minor) პროგრამისათვის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. მიუხედავად ამისა, სასურველია არჩევითი საგნების დამატება, რომ სტუდენტმა შეძლოს რომელიმე კონკრეტული მიმართულების სრულფასოვნად ათვისება (მაგალითად, ვებ ტექნოლოგიების მიმართულებით სერვერული მხარის დაპროგრამება საერთოდ არ ისწავლება).

პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო თვითშეფასების ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, მოწვეული ლექტორები, კურსდამთავრებული, სტუდენტი და დამსაქმებელი.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო პროგრამა;
- სილაბუსები;
- პროგრამის ხელმძღვანელების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;

რეკომენდაციები:

1. სასწავლო კურსი „პრეკალკულუსი“ ამოღებულ იქნას პროგრამიდან.
2. დაემატოს ძირითადი სასწავლო კურსები: „სისტემის ადმინისტრირება“ და „ადამიანი-კომპიუტერის ინტერაქცია“.
3. გამრავალფეროვნდეს არჩევითი სასწავლო კურსები, მათ შორის დაემატოს: „მობილური აპლიკაციები“, „დრუბლოვანი ტექნოლოგიები“, „გეოგრაფიული

<p>საინფორმაციო (გის) სისტემები“.</p> <p>4. დამატებით (minor) პროგრამას დაემატოს არჩევითი საგნები, რომ სტუდენტმა შეძლოს კონკრეტული მიმართულების სრულფასოვნად ათვისება (მაგ. ვებ პროგრამირების მიმართულებით სერვერული მხარის დაპროგრამება).</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>„ზოგადი ფიზიკის საფუძვლები“ სასწავლო კურსი ჩანაცვლდეს ელექტრონიკის სასწავლო კურსით.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს;</p>

თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, გარდა შემდეგი კურსებისა:

1. „დაპროგრამების საფუძვლები“ და „დაპროგრამება (C++)“ სასწავლო კურსებს აქვთ ძალიან დიდი თემატური თანაკვეთა. მარტივად შესაძლებელია ამ ორი კურსის გაერთიანება.
2. „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება და აპლიკაციები (C#)“ სასწავლო კურსშიც ზედმეტი ყურადღება ეთმობა სინტაქსს, რომელიც ფაქტობრივად კურსის წინაპირობებში უკვე ნასწავლი აქვთ და შესაძლებელია ერთ ლექციაში მხოლოდ ფუნდამენტურ განსხვავებებზე საუბარი. უმჯობესია კურსში მეტი დრო დაეთმოს C# გრაფიკული დაპროგრამებისა და .NET ფრეიმვორკის გაცნობას.
3. „კალკულუსი“ სასწავლო კურსში გადანაცვლდეს თემები 4 და 5 (დეტერმინანტები ისწავლებოდეს მატრიცების შემდეგ).
4. „ოპერაციული სისტემები“ სასწავლო კურსი რეალურად წარმოადგენს ოპერაციული სისტემა ვინდოუს 10 სასწავლო კურსს. შესაბამისად ან დაკორექტირდეს კურსის სახელი ან დაემატოს სხვა ოპერაციული სისტემების (მაგ. ლინუქსის) საკითხებიც.
5. „კომპიუტერული გრაფიკა და მულტიმედია“ სასწავლო კურსი ფაქტობრივად წარმოადგენს Adobe Photoshop სასწავლო კურსს. სასურველია კურსის თემატიკა დაეთმოს კომპიუტერული გრაფიკის უფრო ზოგად საკითხებს.
6. „კომპიუტერული ქსელები“ სასწავლო კურსში დაემატოს თემები უკაბელო გადაცემის ტექნოლოგიების შესახებ.
7. „Web ტექნოლოგიების საფუძვლები (HTML&CSS)“ სასწავლო კურსში ზედმეტი ყურადღებაა გამახვილებული HTML ნაწილზე (CSS მხოლოდ 3 ლექციაა) და კურსის მიღმა რჩება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა რესპონსული გვერდების აწყობა, მოდულარული CSS, ანიმაციები და სხვა.
8. „Web დაპროგრამება (JavaScript)“ სასწავლო კურსში ზედმეტი ყურადღებაა გამახვილებული ენის სინტაქსზე და არაა განხილული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა JQuery და AJAX ტექნოლოგიები.
9. „Web დაპროგრამება PHP-ს ბაზაზე“ სასწავლო კურსშიც აგრეთვე ზედმეტი ყურადღება ეთმობა სინტაქსს და არ არის განხილული ვებ გვერდების უსაფრთხოება, სესიები, ვებ-სერვისები და სხვა მნიშვნელოვანი თემები.
10. „შესავალი კურსი პოლიტოლოგიაში“ სასწავლო კურსის თემატიკამ სასურველია მოიცვას პოლიტიკური იდეოლოგიების შესახებ საკითხები.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს;

თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილია ერთიდაიგივე (5 ECTS) კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა), მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსები ერთმანეთისგან განსხვავებულ სწავლის შედეგზე გადიან და განსხვავდებიან ლიტერატურის მოცულობით, რაც განსხვავებულ საათობრივ დატვირთვას საჭიროებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა უმეტეს შემთხვევაში ადეკვატურია, თუმცა საკონტაქტო საათებიც აგრეთვე უნიფიცირებულია (1 ლექცია და 2 პრაქტიკული/სემინარი/ლაბორატორია). ცალკეულ თეორიულ კურსებზე (მაგალითად, „ალბათობა და სტატისტიკა“, „კომპიუტერის არქიტექტურა“ და სხვა) უმჯობესი იქნებოდა 2 ლექციისა და 1 პრაქტიკული/სემინარი/ლაბორატორიის არსებობა; აგრეთვე, საწარმოო პრაქტიკას მინიჭებული აქვს მხოლოდ 5 კრედიტი, რაც ძალიან ცოტაა. ვფიქრობთ, რომ ამ კომპონენტს სტუდენტის დატვირთვიდან გამომდინარე უნდა ჰქონდეს საბაკალავრო ნაშრომის ანალოგიური, 10 კრედიტი. შედეგად, რეკომენდირებულია გადაიხედოს სასწავლო კურსებზე კრედიტების მინიჭებისა და საკონტაქტო საათების განაწილების პრაქტიკა.

სილაბუსებში მითითებული ძირითადი სასწავლო მასალა მეტწილად დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე, გარდა შემდეგი კურსებისა:

1. „კომპიუტერული ქსელები“ და „კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება“ სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურა არის პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებისთვის. ეს ლიტერატურა შეიძლება მიეთითოს დამხმარე ლიტერატურაში, ხოლო ძირითადში აუციელებელია სწავლების საფეხურის შესაბამისი ლიტერატურის მითითება.
2. „კალკულუსი“ სასწავლო კურსის ძირითად ლიტერატურაში მითითებულია წიგნები, რომელიც მიზნობრივად შექმნილია სხვა დარგებისათვის (მაგალითად,
 - დ. ნატროშვილი, გ. ბერიკელაშვილი, შ.ზაზაშვილი. მათემატიკის საფუძვლები ლექციების კურსი „S.T. Tan. Applied Calculus for the Managerial, Life, and Social Sciences“ მიხედვით -- განკუთვნილია I კურსის „აგრონომიის“ და „მეცხოველეობის“ სპეციალობების სტუდენტებისათვის
 - დ. ნატროშვილი, ლ. გიორგაშვილი, ლ. ჯაშიაშვილი, მათემატიკა ეკონომისტებისათვის -- სათაურიდანაც ჩანს.

რეკომენდებულია აღნიშნული წიგნები გადავიდეს დამხმარე ლიტერატურაში, ხოლო ძირითადში მიეთითოს დარგისათვის განკუთვნილი ლიტერატურა.

3. აგრეთვე გასაახლებელია ლიტერატურა სასწავლო კურსებში: „ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესები საქართველოში“ და „დემოკრატია და მოქალაქეობა“. ხოლო სასწავლო კურსში „სამოქალაქო საზოგადოების როლი“ დასაზუსტებელი და ერთმანეთისგან გასამიჯნია ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო პროგრამა;
- სილაბუსები;
- პროგრამის ხელმძღვანელების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;

რეკომენდაციები:

1. გაერთიანდეს სასწავლო კურსები „დაპროგრამების საფუძვლები“ და „დაპროგრამება (C++)“.
2. „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება და აპლიკაციები (C#)“ სასწავლო კურსში დაემატოს C# გრაფიკული დაპროგრამებისა და .NET ფრეიმვორკის გაცნობის საკითხები.
3. „კალკულუსი“ სასწავლო კურსში გადანაცვლდეს თემები 4 და 5 (დეტერმინანტები ისწავლებოდეს მატრიცების შემდეგ).
4. „ოპერაციული სისტემები“ სასწავლო კურსის შინაარსი და სათაური მოვიდეს შესაბამისობაში.
5. „კომპიუტერული გრაფიკა და მულტიმედია“ სასწავლო კურსი დაეთმოს კომპიუტერული გრაფიკის უფრო ზოგად საკითხებს.
6. „კომპიუტერული ქსელები“ სასწავლო კურსში დაემატოს თემები უკაბელო გადაცემის ტექნოლოგიების შესახებ.
7. „Web ტექნოლოგიების საფუძვლები (HTML&CSS)“ სასწავლო კურსში დაემატოს რესპონსული გვერდების აწყობის, მოდულარული CSS და CSS3-თან დაკავშირებული საკითხები.
8. „Web დაპროგრამება (JavaScript)“ სასწავლო კურსში გადრმავდეს JQuery საკითხები და დაემატოს AJAX ტექნოლოგიის მიმოხილვა.
9. „Web დაპროგრამება PHP-ს ბაზაზე“ სასწავლო კურსში დაემატოს ვებ გვერდების უსაფრთხოების, სესიების, ვებ-სერვისების საკითხები.
10. განახლდეს ცალკეული სასწავლო კურსების (მაგალითად, „კალკულუსი“,

<p>„კომპიუტერული ქსელები“, „კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება“, „ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესები საქართველოში“ და „დემოკრატია და მოქალაქეობა“) ძირითადი ლიტერატურა.</p> <p>11. გადაიხედოს სასწავლო კურსებზე კრედიტების მინიჭებისა და საკონტაქტო საათების განაწილების პრაქტიკა. „საწარმოო პრაქტიკა“ გახდეს 10 კრედიტიანი.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>„შესავალი კურსი პოლიტოლოგიაში“ სასწავლო კურსის თემატიკამ სასურველია მოიცვას პოლიტიკური იდეოლოგიების შესახებ საკითხები.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პრაქტიკული უნარების განვითარება გათვალისწინებულია ცალკეულ კურსებში კონკრეტული პრაქტიკული ხასიათის პროექტების/დავალებების, ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებით.</p>

პროგრამის ფარგლებში სავალდებულო კომპონენტებს შორის გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკა 5 კრედიტის მოცულობით. პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტები VII სემესტრის განმავლობაში იმყოფებიან პრაქტიკის ობიექტზე და წინასწარ განსაზღვრული პირობების მიხედვით ახორციელებენ მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ გარემოში ადაპტაციას, განვითარებას და განმტკიცებას. პრაქტიკული სამუშაოს შესრულების შემდეგ ავსებენ პრაქტიკის დღიურებს და სემესტრის ბოლოს წარმოადგენენ და იცავენ პრაქტიკის ანგარიშს.

სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის ორგანიზების მიზნით უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციებთან. აღსანიშნია, რომ მათი უმეტესობა მდებარეობს თბილისში რაც ლოჯისტიკური თვალსაზრისით არაეფექტურია. სასურველია უნივერსიტეტმა გააღრმავოს ამ მიმართულებით თანამშრომლობა რეგიონალურ ორგანიზაციებთან.

პრაქტიკის ორგანიზებას ახორციელებს ფაკულტეტის ადმინისტრაცია და პროგრამის ხელმძღვანელი. უნივერსიტეტიდან გამოყოფილია კვალიფიციური პერსონალი სტუდენტის პრაქტიკის ხელმძღვანელად, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას.

სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ინტერესების მიხედვით მონაწილეობა მიიღონ სტუდენტთა დასაქმების ფორუმებში და სხვადასხვა კონკურსებში. აგრეთვე მონაწილეობა მიიღონ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობაში: ტრენინგებში, ვორქშოპებში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალში, სამეცნიერო პიკნიკში. სტუდენტები რეგულარულად მონაწილეობენ თესაუ-ს სტუდენტ-ბაკალავრთა და მაგისტრანტთა და სხვა საერთაშორისო კონფერენციებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო პროგრამა;
- მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;
- პროგრამის ხელმძღვანელების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>გაძლიერდეს თანამშრომლობა რეგიონალურ ორგანიზაციებთან სტუდენტთა სტაჟირების თაობაზე.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას;</p> <p>სწავლება-სწავლის მეთოდებს ირჩევს ლექტორი თავისი პროფესიული გამოცდილებიდან გამომდინარე. მათი მიზანია მაქსიმალურად ჩაერთოს სტუდენტი დაგეგმილ აქტივობებში. შესაბამისად სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება</p>

სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა;

„ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდები და აქტივობები, როგორცაა ლექცია, სემინარი, ზეპირსიტყვიერი და წერიტი მეთოდები, ლაბორატორიული და პრაქტიკული მეთოდები, დისკუსია და ჯგუფური მუშაობა.

2018 წლიდან უნივერსიტეტში ხორციელდება პროექტი „უმალეს სასწავლებელში ინოვაციური სწავლებისა და სწავლის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში სტუდენტის სწავლის გამოცდილების გაღრმავების მიზნით“ (PRINTEL), რომლის ფარგლებში უნივერსიტეტის პროფესორები გადამზადდნენ სწავლების ფორმებში (მაგ., ელექტრონული სწავლება, მუდლის გამოყენება და სხვა) პარტნიორ უნივერსიტეტებში. კოლეგებისთვის ცოდნის გაზიარების მიზნით, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში გადამზადებულმა თესაუ-ს პროფესორებმა ჩაატარეს ტრენინგები უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო პროგრამა;
- სილაბუსები;
- პროგრამის ხელმძღვანელების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა რომ სტუდენტების შეფასება მეტწილად ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან მეტწილად შესაბამისია.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტისა და სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად სემესტრის განმავლობაში გამოიყენება ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტური სისტემა, კერძოდ კი შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას. ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერილი (ტესტი, ღია კითხვები, საკურსო ნაშრომი, ესსე და ა.შ) გამოკითხვა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც არ აღემატება 60%-ს და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. საბაკალავრო პროგრამის მიხედვით, სასწავლო კურსის შეფასებაში: შუალედური შეფასებები მოიცავს არანაკლებ 60 ქულას, ხოლო დასკვნითი გამოცდა არაუმეტეს 40 ქულას. შესაბამისად, შეფასების თითოეული ფორმა მეტწილად მოიცავს შეფასების კომპონენტს, რომელიც

მოიცავს შეფასების მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რაც მოცემული სასწავლო კურსების სილაბუსებში. ამრიგად, თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები მეტწილად ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და მეტწილად შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. ამასთან აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსის სილაბუსების დიდ ნაწილში უნიფიცირებულია როგორც შუალედური შეფასების კომპონენტები, ისე შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები, მაგალითად ყველა სასწავლო კურსის შუალედური შეფასების კომპონენტი, მიუხედავად მათი მიზნებისა და სწავლის შედეგებისა, მოიცავს პრეზენტაციას, რომელსაც შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები სილაბუსების დიდ ნაწილში ანალოგიურია. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები არ იყოს უნიფიცირებული. ასევე, რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში „კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირებასა“ და „მონაცემთა ბაზების დაპროექტებაში (SQL)“ დაკონკრეტდეს რას გულისხმობს საკურსო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმი „სტუდენტის ავტონომიურობა“ და მეტად დეტალიზირდეს მისი შეფასების რუბრიკა. აგრეთვე რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „კატასტროფების რისკის შემცირება ინკლუზიური მიდგომით“ სილაბუსში განისაზღვროს ფინალური გამოცდის ღია კითხვების შეფასების რუბრიკა, ასევე სასწავლო კურსის „ლოგიკის“ სილაბუსში დეტალიზირდეს სემინარზე წერითი გამოკითხვის შეფასების კრიტერიუმები და შეფასების რუბრიკა.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციით დადასტურდა, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას. ამ მხრივ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ატარებს ტრენინგებს და ასევე პერსონალს აძლევს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ უცხოურ ტრენინგებსა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსებში.

უსდ-ში გამოცდები ტარდება საგამოცდო ცენტრში, სადაც ხდება ნაშრომების დაშიფვრა, რაც მისასაღმებელი პრაქტიკაა, რადგან აღნიშნული ხელს უწყობს შემფასებლის მხრიდან მეტ ობიექტურობას. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული წესის მიხედვით, არსებობს ხუთი სახის დადებითი შეფასება:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა

და ორი სახის უარყოფით შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება აქვს ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადაში, მაგრამ დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში. ამასთან, სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს საბაკალავრო ნაშრომი, რომლის შეფასებაშიც გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. საბაკალავრო ნაშრომი ჯამში 100 ქულით ფასდება, კერძოდ შუალედური (ხელმძღვანელი) შეფასება, მაქსიმუმ 60 ქულა და დასკვნითი (კომისიის წევრთა) შეფასება, მაქსიმუმ 40 ქულა. საბაკალავრო ნაშრომი ფასდება ისეთი კრიტერიუმებით, როგორებიცაა: თემის აქტუალობა, მიზნისა და ამოცანების განსაზღვრა, ნაშრომის ლოგიკური თანმიმდევრობა, ნაშრომის გაფორმება, პრეზენტაცია და კითხვებზე პასუხი. აღსანიშნავია, რომ პლაგიატის პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაინერგა პლაგიატის ამოცნობის სპეციალური პროგრამა (Turnitin), რაც მისასაღმებელი პრაქტიკაა.

აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დადგინდა, რომ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია ელექტრონულ სასწავლო პორტალზე და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირის სწავლის შედეგებზე, აღნიშნული მიზნისათვის გამოიყენება ელექტრონული პორტალი, ასევე როგორც სტუდენტებთან ინტერვიუსას გაირკვა, შუალედური და

დასკვნითი გამოცდების შემდეგ ლექტორები აცნობენ სტუდენტებს შედეგებს და უთითებენ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, აგრეთვე განიხილავენ დაშვებული შეცდომების გამოსწორების გზებს, მსგავსი უკუკავშირი კი ხელს უწყობს შედეგზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის არსებობას.

აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციით დადასტურდა, რომ უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება, რაც ასევე დაადასტურეს პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა.

უსდ-ში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს შეფასების შედეგების ანალიზსა და მის გამოყენებას სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად, რაც დადასტურდა აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (ოქმი №5-14. 03. 2018);
- ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საბაკალავრო ნაშრომის შემუშავების, გაფორმების, დაცვისა და შეფასების წესის შესახებ დებულება;
- პლაგიატის გამოვლენისა და რეაგირების წესი (აკადემიური საბჭოს ოქმი №17-2020 წელი);
- პერსონალის მხარდამჭერი ღონისძიებები;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ანგარიში;
- გამოცდების ჩატარებისა და შედეგების გასაჩივრების წესი;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები, რომ ითვალისწინებდნენ კურსის სპეციფიკას და არ იყოს უნიფიცირებული.
- სასწავლო კურსებში „კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირებასა“ და „მონაცემთა ბაზების დაპროექტებაში (SQL)“ დაკონკრეტდეს რას გულისხმობს საკურსო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმი „სტუდენტის ავტონომიურობა“ და მეტად დეტალიზირდეს მისი შეფასების რუბრიკა.
- სასწავლო კურსის „კატასტროფების რისკის შემცირება ინკლუზიური მიდგომით“ სილაბუსში განისაზღვროს ფინალური გამოცდის ღია კითხვების შეფასების რუბრიკა, ასევე სასწავლო კურსის „ლოგიკის“ სილაბუსში დეტალიზირდეს სემინარზე წერითი

გამოკითხვის შეფასების კრიტერიუმები და შეფასების რუბრიკა.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მისასალმებელია საგამოცდო ნაშრომების დაშიფვრა, რაც შეფასების პროცესს უფრო ობიექტურს ხდის. <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მისასალმებელია დავალებებისა და საბაკალავრო ნაშრომების შემოწმებისთვის პლაგიატის გამოვლენის სპეციალური პროგრამა „Turnitin“-ის დანერგვა. <p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სასწავლო პერსონალთან, ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევებზე, სწავლების გაუმჯობესებაზე და დასაქმებაზე კონსულტაციას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები, რის შესახებ ინფორმაციაც დამატებით მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. ამასთან, გასაუბრების პროცესში პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ლექტორებთან კომუნიკაციის პრობლემა არ შექმნიათ, მეტიც როგორც უნივერსიტეტში, ისე ელექტრონულ რეჟიმშიც აკადემიური პერსონალი სტუდენტებს უწევს სათანადო კონსულტაციასა და დახმარებას იქნება ეს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები, თუ კურიკულუმს მიღმა პროექტებში მხარდაჭერა, მაგალითად სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ლექტორები საკონსულტაციო საათების დროს ეხმარებიან საკონფერენციო თემების მომზადებაში.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა კარიერული ზრდისა და განვითარების სერვისი, რომელიც უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას, რომლის ფარგლებშიც ეწყობა კარიერული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგ-კურსები და შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან. ასევე, უნივერსიტეტი აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ და ეხმარება პარტნიორ დამსაქმებლებთან სტაჟირების გავლის პროცესში. აგრეთვე, ზუსტ და

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი უნივერსიტეტის ცენტრალურ ადმინისტრაციასთან, სპორტისა და კულტურის კოორდინატორებთან ერთად გეგმავს და ახორციელებს კურიკულუმს მიღმა აქტივობებს, საჯარო ლექციებსა და სხვა სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებს.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ეტაპობრივად თავსდება ინფორმაცია სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო პროექტების, კონფერენციების, ღონისძიებებისა და კვლევების შესახებ. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ინდივიდუალური საერთაშორისო მობილობით, უნივერსიტეტის მხრიდან კი ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს აქვთ სათანადო ფინანსური ხელშეწყობა საერთაშორისო კონფერენციებში და გაცვლით პროექტებში მონაწილეობის მისაღებად. ამასთან, აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ პროგრამის სტუდენტებს მონაწილეობა აქვთ მიღებული ERASMUS+ის საერთაშორისო სემესტრულ მობილობასა და სხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო კვლევით პროექტებში, რაც მისასაღებელი პრაქტიკაა.

სტუდენტებისთვის უსდ-ში დაწესებულია სტიპენდიები, რომელთა მოპოვებაც დამოკიდებულია სტუდენტის აკადემიურ მოსწრებასა და კურიკულუმს მიღმა განხორციელებულ აქტივობებზე, ასევე უნივერსიტეტს აქვს სოციალურად დაუცველ სტუდენტთა ფინანსურად დასაქმების პროგრამა. ამასთან, უნივერსიტეტში მოქმედებს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს შეუძლიათ აკადემიურ პერსონალთან ერთად ჩაერთონ კვლევით საქმიანობაში.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სათანადო მომსახურების გაწევას, რაც გულისხმობს სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, ასევე ცნობის, ნიშნების ამონაწერისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის გაცემას, ამასთან სასურველია შეიქმნას სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, რომელიც საქმიანობაც მთლიანად სტუდენტთა მომსახურებაზე იქნებოდა ორიენტირებული, თუმცა აღნიშნული არ არის სავალდებულო რადგან სტუდენტები კმაყოფილნი არიან ფაკულტეტზე არსებული ადმინისტრაციული პერსონალის მომსახურებით. ამასთან, ინტერვიუს პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა განაცხადეს, რომ სტუდენტებს აღნიშნული სერვისებით ელექტრონულად სარგებლობაც შეუძლიათ. ამასთან, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო და საგამოცდო ცხრილების,

სილაბუსებისა და სწავლის შედეგების შეფასებების შესახებ. ასევე, სტუდენტები ყოველი სემესტრის ბოლოს მონაწილეობენ ხარისხის სამსახურის მიერ ორგანიზებულ გამოკითხვაში.

მთლიანობაში სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების შედეგებთან და გაუმჯობესებასთან, დასაქმებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ შესაბამის ინფორმაციასა და მხარდაჭერას. ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიური ქართულენოვანი სტუდენტები კმაყოფილები არიან ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის საქმიანობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალის უფლება-მოვალეობები;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის უფლება- მოვალეობები;
- საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სტუდენტთა კარიერული ზრდისა და განვითარების ცენტრის ფუნქციები;
- კულტურისა და სპორტის კოორდინატორების საქმიანობის წესი;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სტუდენტური სერვისების ერთ სივრცეში თავმოყრის მიზნით, სასურველია უსდ-მ შექმნას სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, რომელსაც მთლიანად სტუდენტების მომსახურებაზე იქნება ორიენტირებული, რაც კიდევ უფრო გაუადვილებს სტუდენტებს სწავლის პროცესს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- გაცვლით პროექტებსა და ინდივიდუალურ საერთაშორისო მობილობაში სტუდენტთა ჩართულობა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ო გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე

პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულია 1 პროფესორი, 9 ასოცირებული პროფესორი, 5 ასისტენტ პროფესორი და 7 მოწვეული ლექტორი. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, რომელთაც გააჩნიათ სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოცემული სტატიები (თუმცა ძირითადად ადგილობრივ ჟურნალებსა და კონფერენციების მასალებში), მათი მონაწილეობა ძირითადად ადგილობრივ სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციებში. აღსანიშნია ფაქტი, რომ პროფესორების უმრავლესობას აკადემიური ხარისხი მიღებული აქვთ პედაგოგიკის მიმართულებით და მათი ნაშრომებიც უმეტესწილად ეხება ინფორმატიკისა და მათემატიკის სწავლების მეთოდებს. მიუხედავად ამისა, საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია საკმარისია პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევისათვის. პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის სასურველია პროგრამაში ჩაერთოს დარგის პრაქტიკოსი უფრო მეტი სპეციალისტი, განსაკუთრებით დაპროგრამებასთან დაკავშირებულ საგნებში, რომლებიც სტუდენტებს გააცნობენ რეალურ და ახალ-ახალ პრაქტიკულ გამოწვევებს.

მოწვეული პერსონალის მიღება ხდება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკით, სადაც აღწერილია პერსონალის მართვის ზოგადი პრინციპები.

აკადემიური პერსონალის შერჩევა ხორციელდება ღია კონკურსის წესით, „უმადლესი განათლების შესახებ კანონის“, უნივერსიტეტის დებულებისა და აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების ერთიანი წესის საფუძველზე.

წარმოდგენილი აკადემიური და მოწვეული სპეციალისტების რაოდენობა საკმარისია საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ განხორციელებისათვის. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობა უზრუნველყოფს პროგრამის დმგრადობას.

„ინფორმაციული ტექნოლოგიები“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, რაც დასტურდება მათ მიერ გამოქვეყნებული სტატიებითა და სასწავლო კურსების სახელმძღვანელოებით (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული

ფორმით). პროგრამის ხელმძღვანელები მონაწილეობენ პროგრამის შეფასების და განვითარების პროცესში, რაც განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების შეფასების წესში და პროგრამის შეფასების კრიტერიუმებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალის უფლება-მოვალეობები;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის უფლება- მოვალეობები;
- საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

პროგრამის განხორციელებაში ჩაერთოს დარგის პრაქტიკოსი უფრო მეტი სპეციალისტი, განსაკუთრებით დაპროგრამებასთან დაკავშირებულ საგნებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის შეფასების პოლიტიკა, რომლითაც ვასდება პერსონალის კომპეტენცია და დგინდება დაკისრებული ვალდებულებების შესრულების ხარისხი. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აგრეთვე ხდება აკადემიური პერსონალის სამომავლო საჭიროებების დადგენა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში ჩართულობის უზრუნველყოფა.

უნივერსიტეტში ტარდება პროფესორ-მასწავლებელთა თემატური კონფერენციები, სადაც აკადემიურ პერსონალს საშუალება ეძლევა წარმოადგინოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები. აკადემიურ, მოწვეულ და სამეცნიერო პერსონალს ასევე საშუალება აქვს მონაწილეობა მიიღოს პარტნიორი უნივერსიტეტების და ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი მონაწილეობს ლექტორთა გაცვლით პროგრამებში სხვადასხვა ევროპულ უნივერსიტეტებში ძირითადად Erasmus+ და მევლანას პროექტების ფარგლებში. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გაცვლითი პროგრამით ისარგებლა პროგრამაში ჩართულმა რვა პროფესორმა. აგრეთვე, პერიოდულად ხდება ევროპის პარტნიორი უნივერსიტეტებიდან კოლეგების ვიზიტი თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლებიც ატარებენ ლექციებს და ჩართული არიან ერთობლივი პროექტების განხორციელებაში. თუმცა, ძირითადად ეს პროგრამები და პროექტები არის სწავლების მეთოდების მიმართულებით. სასურველია გაძლიერდეს მსგავსი პროექტები დარგობრივად ინფორმატიკის მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (ტრენინგები, კონფერენციები, სამუშაო მივლინებები, გაცვლითი პროექტები, რომლებიც ემსახურება პროფესიულ და/ან სწავლების უნარის განვითარებას);
- საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

<ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები;
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>გამლიერდეს საერთაშორისო თანამშრომლობა უშუალოდ ინფორმატიკის მიმართულებით.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>4.3 მატერიალური რესურსი</p> <p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კერძოდ, უნივერსიტეტს აქვს კეთილმოწყობილი,</p>

მრავალსართულიანი სასწავლო კორპუსები, სხვადასხვა დანიშნულების ლაბორატორიები, კომპიუტერული კლასები (ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით), და საკონფერენციო დარბაზები.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, მათ შორის სველი წერტილები, სრულად არის ადაპტირებული შშმ პირებისათვის. გათვალისწინებულია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტები (ექთნის კაბინეტი, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა და ინვენტარი).

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, რომელიც დაკომპლექტებულია სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით, კომპიუტერული ტექნიკით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი თანამშრომლობს Elsevier და სხვა სპეციალიზირებულ ელექტრონულ ბაზებთან თუ ბილიოთეკებთან, რომელზე წვდომაც აქვთ სტუდენტებს როგორც უნივერსიტეტის შენობიდან, ისევე სახლის პირობებში. ამ ბაზებში ხელმისაწვდომია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა, რომლის გამოყენებაც მიზანშეწონილია სალექციო კურსის მომზადების დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვირტუალური დათვალიერება;
- ელექტრონული ბაზები და რესურსები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან, რომელიც შედგენილია კანონმდებლობით განსაზღვრული საბიუჯეტო კლასიფიკატორის მიხედვით. იგი ფორმირდება სტუდენტთა საბიუჯეტო გრანტებისა და ინდივიდუალური შემონატანების საფუძველზე.

„ინფორმაციული ტექნოლოგიები“ საბაკალავრო პროგრამას ცალკე გამოყოფილი ბიუჯეტი არ აქვს, მაგრამ წარმოდგენილი იქნა პროგრამის მდგრადი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა ზოგადი სახით, სადაც გაწერილია პროგრამის სავარაუდო შემოსავლები, პროფესორების ხელფასები და სხვადასხვა ხარჯები, როგორცაა წიგნადი ფონდის, ელექტრონული რესურსების და აღჭურვილობის შეძენის, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების, კვლევებისა და განვითარების ღონისძიებების მიზნით გაწეული ხარჯები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ბიუჯეტი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება
<p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და

იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფა და პროგრამის მართვა ხორციელდება დაგეგმე – გააკეთე – შეამოწმე – იმოქმედე ციკლის მიხედვით. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების მექანიზმები (დამტკიცებული 14/03/2018წ.). რომლის მიხედვითაც ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების და მათი განხორციელების შეფასება; სწავლების ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის შეფასება; პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადამინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლები) შეფასება.

პროგრამის შემუშავების დროს განისაზღვრება სამიზნე ნიშნულები და ხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე რეგულარულად ახდენს საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს, ატარებს კვლევებს, ანალიზებს შედეგებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და ინფორმაციას აწვდის პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს და შესაბამის დეპარტამენტს, სადაც ხდება განხილვა და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირება/განახლება.

შიდა ხარისხის შეფასებისათვის გამოიყენება შესაბამისი ინსტრუმენტები, როგორებიცაა შეფასებისა და ანალიზის საშუალებები მაგ. კითხვარები სტუდენტებისათვის, აკადემიური პერსონალისათვის და სხვა. პროგრამაში წარმოდგენილია კითხვარების ანალიზის შედეგები, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ გამოკითხვის შედეგად განხორციელდა პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტების გაზრდა (დაემატა სასწავლო კურსი „საწარმოო პრაქტიკა“, გაიზარდა სასწავლო კურსებში პრაქტიკული მეცადინეობების რაოდენობა).

თვითშეფასების ანგარიში მომზადდა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის აქტიური ჩართულობით. შიდა კომუნიკაციები და თანამშრომლობა ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის უზრუნველყოფილია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- გამოკითხვების შედეგები და ანალიზი;

<ul style="list-style-type: none"> ○ ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>5.2 გარე ხარისხის შეფასება</p>
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყენებს გარე შეფასების მექანიზმებს, აკრედიტაციისა და ავტორიზაციის დებულებებს, საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების პერიოდული ანგარიში წარედგინება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შესაბამისი ვადებისა და წარდგენის ფორმების დაცვით.</p> <p>პროგრამის ხარისხის გარე შეფასების მიზნით ასევე მოხდა პროგრამის შეფასება</p>

პოტენციური დამსაქმებლების მიერ. შეფასების შედეგად მიღებული შედეგები გაანალიზა პროგრამის ხელმძღვანელებმა და პროგრამის შემუშავებაში ჩართულმა პერსონალმა.

აღნიშნული პროგრამისთვის ასევე განხორციელდა კოლეგიალური შეფასებები საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ. პროგრამაში გათვალისწინებულ იქნა გარე შეფასების დროს გამოთქმული მოსაზრებები (რიგ სასწავლო კურსებში დაემატა საკურსო პროექტები).

პროგრამის პერიოდული შეფასებისთვის უნივერსიტეტში ხორციელდება კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვება, დამუშავება და ანალიზი. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შეფასებები;
- პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უდს-ში პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდები. არაპირდაპირი გაზომვის მეთოდი გულისხმობს: სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას და ამ შედეგების ანალიზის გზით პროგრამაში დასახული სწავლის შედეგების გაზომვას და, საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესებას.

კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში პირდაპირი გაზომვა ხდება: პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკის საშუალებით და კონკრეტულ სასწავლო კურსში წარმოდგენილი ცოდნის შემოწმების ფორმებისა თუ სხვა სახის აქტივობებით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება PDCA დინამიური სისტემის მიხედვით თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ და მას აქვს უწყვეტი ხასიათი. მიღებული მონაცემების მიხედვით კეთდება პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი სასწავლო კურსებთან მიმართებაში და განისაზღვრება რომელი სასწავლო კურსის/კურსების დახმარებით რა ტიპის სწავლის შედეგი/შედეგები მიიღწევა.

პროგრამაში წარმოდგენილია გამოკითხვის ფორმები, ჩატარებულია კვლევა და ანალიზი, რის შედეგადაც განხორციელდა ცვლილებები აღნიშნულ პროგრამაში.

უდს სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით იყენებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასებას ლექციებზე კოლეგების დასწრების საშუალებით.

მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების ანალიზის მიხედვით შესაძლებელია პროგრამაში განხორციელდეს ცვლილებები (სასწავლო კურსის დამატება, ან ამ სასწავლო კურსის მოდიფიცირება, პროგრამის მოდიფიცირება/გაუმჯობესება).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების ინსტრუქცია

<ul style="list-style-type: none"> ○ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების მექანიზმები ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგების ანალიზი; ○ ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 46

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

მიხეილ რუხაია


აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა



ნანა არაბული

სახელი, გვარი, ხელმოწერა



ნიკა გიგაური